საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მორჩილაძე აკა

ა. მორჩილაძე

მორჩილაძე აკა (ნამდვ. სახ. და გვარი ახვლედიანი გიორგი ზურაბის ძე) (დ. 10. XI. 1966, თბილისი), მწერალი. 1988 დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა თსუ-ში, იყო სპორტ. ჟურნალისტი გაზ. „რეზონასსა“ და „სარბიელში“; „იმედსა“ და საზოგადოებრივ მაუწყებელზე მიჰყავდა ტელეგადაცემები: „უცნობი საქართველო“ (2004 - 06), „დაკარგული წიგნები“ (2018-იდან). მ-მ მკითხველის ყურადღება იმთავითვე მიიპყრო რომანებით: „მოგზაურობა ყარაბაღში“ (1992) და „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ (1995). ავტორია მოთხრობების კრებულებისა: „შობა ღამის ალქაჯები“ (2001), „წიგნი“ (2003) და რომანებისა: მადათოვის ტრილოგია - „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ (1998), „გაქრები მადათოვზე?“ (2001), „ვეშაპი მადათოვზე“(2004); „აგვისტოს პასიანსი“ (2001), „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ (2003), „მამლუქი“ (2009), „მორიდებული ზურმუხტი“ (2013), „ქემერა“ (2014) და სხვ. დოკუმენტ. პროზის ნიმუშია „ჩრდილი გზაზე“ (2014), რ-შიც აღწერილია საბჭ. ეპოქის საქართვ. XX ს-ის 90-იან წლებამდე.

მ-ის მხატვრ. სამყარო უაღრესად გამორჩეულია სიუჟეტისა და ამბის მრავალფეროვნებით, პოსტმოდერნული თამაშებით, თვალშისაცემი ორიგინალურობითა და წერის პარადოქსული მანერით. ის აყალიბებს და ქმნის საკუთარ ენობრივ სისტემას, რ-ლშიც დომინანტურია დიალექტური, არქაული, XIX ს. ენა, ძვ. თბილისის კოლორიტი თუ XX ს. 90-იანი წლების ქალაქური მეტყველება.

მ-ის რომანის მიხედვთ ს. ახმეტელის თეატრში დაიდგა სპექტაკლი „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ (1999, რეჟ. დ. ანდღულაძე) და გადაიღეს ფილმები: „გასეირნება ყარაბაღში“ (2005, რეჟ. ლ. თუთბერიძე), „ქაღალდის ტყვია“ (2007, რეჟისორები: ლ. თუთბერიძე, მ. კულუმბეგაშვილი) და „უშენოდ მგონი მოვკვდები“ (2010, რეჟ. ლ. თუთბერიძე).

არის ლიტ. პრემია „საბას“ ექვსგზის ლაურეატი (2003, 2005, 2006, 2010, 2012 და 2019) რომანებისთვის: „შენი თავგადასავალი“ (2002), „სანტა ესპერანსა“ (2004), „ვენერას სიზმარი“ (2005), „Maid in Tiflis“ (2007); „obOle“ (2011), „კუპიდონი კრემლის კედელთან“ (2018).

მ-ის თხზულებები თარგმნილია ინგლ., გერმან., უკრ., არაბ., რუს., თურქ., ბულგარ., აზერბ., სერბ., ხორვ., შვედ. ენებზე.

ს. მეტრეველი